**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სილაბუსი**

2011-2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური

**კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სასწავლო კურსის სახელწოდება:** **უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა**

**სასწავლო კურსის კოდი:** P. 3. P. 10

**კრედიტების რაოდენობა:** 5 კრედიტი (ECTS)

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო

**ასოცირებული პროფესორი:** დავით მახაშვილი, **ტელ:** 27-37-51 (სამსახური), **მობ:** 599108450, **ელ. ფოსტა:** davitima@rambler .ru

**სალექციო კურსის აღწერა:**

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა არის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელიც სწავლობს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო, სტუდენტთა სოციალიზაციის და მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების პრობლემებს, იკვლევს უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების გზებს, საშუალებებს და ამის საფუძველზე აყალიბებს მეცნიერულ დასკვნებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფა – განვითარების მიზნით.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ინტერესებში შედის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პედაგოგიური კადრები, ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებთან, სწავლების ახალი ტექნოლოგიები, უმაღლესი სკოლის სტრუქტურა, განათლების მენეჯმენტი და სხვა.

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანებია:** მისცეს დოქტორანტს საფუძვლიანი ცოდნა:

- უმაღლესი სკოლის ორგანიზაციის, დოქტორანტის (დოქტორანტურის) დანიშნულების და მისი ამოცანების შესახებ.
- უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის ცნებების, სწავლების(სწავლის) ძირითადი პრინციპების შესახებ;
- თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მუშაობის წარმართვის ხელოვნების შესახებ;
- უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული უნარ–ჩვევების შესახებ.
- უმაღლეს სკოლაში მენეჯმენტის ხელოვნების შესახებ

**სალექციო კურსზე დაშვების წინა პირობა:** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

<u>ცოდნა გაცნობიერება</u>: ფლობს განათლების სფეროში არსებულ თეორიებსა და თანამედროვე მიმართულებების ღრმა და სისტემურ

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ექნება საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა, მართვის უნარი; ეფექტურად მოახდენს მათი შესრულების მონიტორინგს. ექნება განათლების სფეროს საკითხების კვლევის უნარი; ახდენს კონკრეტულ საგანმანათლებლო პრობლემების წარმოქმნისას საკითხების ანალიზს და ეფექტურად ეძებს მათი გადაჭრის ორიგინალურ გზებს.

კომუნიკაციის უნარი - ექნება საგანმანათლებლო ჯგუფის კოორდინირების და გაძღოლის, აგრეთვე კოლეგებთან პოლემიკის წარმართვის უნარი. გარდა ამისა, ერთნაირი წარმატებით მუშაობს კოლეგებთან როგორც ლიდერი და რიგითი წევრი.

სწავლის უნარი - შეეძლება საკუთარი და სხვების მუშაობის შედეგების შეფასება და თვითშეფასება. ანალიზი და გაუმჯობესების გზების დაგეგმვა-წარმართვა; საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ღირებულებები - შეეძლება სოციალური ნორმებისა და დარგში არსებული ურთიერთობების განხილვა, გააზრება და ქმედების წარმართვა. იგი კონკრეტულ სიტუაციებში არა მარტო იცავს საგანმანათლებლო კონტექსტში კვლევის ეთიკის ნორმებს, არამედ მუდმივად ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. იგი ყოველთვის პატივს სცემს საკუთარ და სხვის აზრს, მათ შეხედულებებს.

**ძირითადი ლიტერატურა**

1. ასათიანი, ა. (2008). *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა*, თბილისი. „სტამბა გრიფონი“.

**დამატებითი ლიტერატურა**

1. გობრონიძე, ა., და ბიბილეიშვილი, ი. (2001). *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები,* ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბასილაძე, ი., და ძოწენიძე, ქ. (2008). *მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება,* ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. . ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე,, ნ., კოსტავა, ნ.(2005). *სწავლებისა და სწავლის პედაგოგიურ-ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება,ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
4. გელაშვილი, ნ.(2003). *უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის საკითხები,* თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. ვასაძე, ნ. (1997). .*პედაგოგიკის ისტორია,* თბილისი, განათლება.
6. საქათველოს კანონი, (2007). „*უმაღლესი განათლების შესახებ*“, თბილისი.
7. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) (2005). თბილისი.
8. ბოლონიის პროცესის ძირითადი დაკუმენტები, (2005). თბილისი.
9_. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).*განვითარებისა და სწავლის თეორიები,*_თბილისი.

10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). *სწავლება და შეფასება.* , თბილისი

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *სასწავლო და პროფესიული გარემო,* თბილისი.

**შეფასების კრიტერიუმები:** დოქტორანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების საფუძველზე:

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არსებობს სპეციალობის და დამხმარე სასწავლო კურსები. ყველა სასწავლო კურსში შეფასება მოხდეს 60/40 (შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები) პროცენტული თანაფარდობით. შუალედური შეფასება განისაზღვროს სამი პრეზენტაციით, თითოეულის მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 20 ქულით (3x20 ქულა). კრედიტის მინიჭება მოხდეს მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

**სალექციო კურსის სტრუქტურა**

დისციპლინა ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში, ითვალისწინებს, როგორც ლექციების, ასევე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას.

დისციპლინის შესწავლისათვის სულ გამოყოფილია 125 საათი, მათ შორის 30 საათი საუდიტორიო მუშაობისათვის, ხოლო 95 საათი დამოუკიდებელი სამუშაოსათვის.

**სასწავლო კურსის შინაარსი**

| ვირის ომერი | ლექციური მუშაობა | | | |
|---|---|---|---|---|
| | საათების რაოდენობა | თემატიკა | სწავლების მეთოდები | ლიტერატურა № |
| | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1-3 | 3 | უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები (საგანი, ამოცანები, სტრუქტურა, ძირითადი | ლექცია დისკუსია | { 1 } გვ. 7-42 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცნებები, წყაროები და მეცნიერული კვლევის მეთოდები) | | |
| 5 | 3 | უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები( ადამიანთა მცოდნეობის მეცნიერებები, განათლების ფილოსოფიის პრობლემები, განათლების ფსიქოლოგიის საკითხები, განათლების თეორიები და მეთოდოლოგიური პრინციპები) | ლექცია<br>დისკუსია | { 1 }<br>გვ. 42-66 |
| | | | | |
| 8 | 2 | უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში | ლექცია<br>დისკუსია | { 1 }<br>გვ. 66-116 |
| | 1 | საგანმანათლებლო პროგრამა | ლექცია | { 1 }<br>გვ. 116-172 |
| 12 | 2 | სწავლების ორგანიზაციული ფორმები უმაღლეს სკოლაში | ლექცია | { 1 }<br>გვ. 179-213 |
| -14 | 2 | სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები | ლექცია | { 1 }<br>გვ. 213-256 |
| | | | | |
| | 2 | განათლების მენეჯმენტი უმაღლეს სკოლაში. მართვის ორგანოები | ლექცია<br>დისკუსია | { 1 }<br>გვ. 256-311 |
| | | | | |

**გისურვებთ წარმატებას!**

**ასოცირებული პროფესორი                    დავით მახაშვილი**